

სპორტის განვითარების ხელშეწყობის

ღონისძიებები

სპორტულ სახეობათა განვითარების

პ რ ო ბ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი

2017 წ.

## 1. პროგრამის აღწერა და მიზანი

პროგრამის ძირითადი არსია საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარება, ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები), საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მაღალი დონის სასწავლო და საწვრთნელი პირობების შექმნა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება, სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმით და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება.

## 2. მიზნები და ამიდანები

პროგრამის ძირითადი მიზანია:

- საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის, პირველობებისათვის, საერთაშორისო ტურნირებისათვის, შეჯიბრებებისათვის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მომზადება, სასწავლო შეკრებების ჩატარება და წარმატებული ასპარეზობა.
- ფედერაციებისათვის საერთაშორისო ოფიციალურ ღონისძიებებზე, კონგრესებზე და სემინარებზე მონაწილეობის უზრუნველყოფა, საწევროების გადახდა, შესაბამის დონეზე მსაჯებისა და მწვრთნელების მომზადება და მათი სხვადასხვა სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებსა და კურსებზე მონაწილეობა, საერთაშორისო შეჯიბრებებზე და შეხვედრებზე სამსაჯოდ ქართველი მსაჯების მონაწილეობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული თანამედროვე სპორტული ტერმინოლოგიის შესწავლისა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებზე საქართველოს დელეგაციის წევრების მიერ შესაბამისი კომუნიკაციის უნარის სათანადო დაუფლებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ქართველი სპორტსმენების, მწვრთნელებისა და მსაჯებისათვის (მათ შორის სხვადასხვა უცხოურ ენაზეც) საერთაშორისო სასწავლო ლექცია-სემინარების ჩატარება.
- სპორტის პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებში, სპორტული ღონისძიებების ტელეტრანსლაციის უზრუნველყოფა, სპორტის პროპაგანდა ინტერნეტის საშუალებით და სპორტის პოპულარიზაციის მიზნით კონკურსების მოწყობა და სხვადასხვა სახის წიგნების, ალბომების, ჟურნალებისა და კალენდრების გამოშვება, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციის მიზნით ფილმების, კლიპებისა და ვიდეორგოლების დამზადება;
- ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლებში.
- საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის მაღალკვალიფიციური სპორტული რეზერვის მომზადება.
- ნაკრები გუნდების სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფა, განბაჟების პროცედურებში ხელშეწყობა.
- სპორტის სახეობების მიხედვით საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების, საერთაშორისო ტურნირების ჩატარება.

- საქართველოს წამყვან სპორტსმენთა საერთაშორისო სარბიელზე წარმატებული გამოსვლებისათვის ნორმალური საწვრთნელი პირობების შექმნა და საზღვარგარეთიდან მაღალი კვალიფიციის მქონე მწვრთნელების, ქართველი მწვრთნელების და სხვა სპეციალისტების მოწვევა.
- საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება.
- ქვეყნის წამყვან და პერსპექტიულ სპორტსმენთა დაზღვევა, მათთვის დამატებითი კვების და სხვა სახის დახმარებების გაცემა.
- საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში მზადების უზრუნველსაყოფად აუცილებელი, ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპორტული ობიექტების და სატრანსპორტო საშუალებების იჯარა-დაქირავება და ამ ბაზებზე ადგილობრივი და საერთაშორისო მაშტაბების ღონისძიებების ჩატარებისათვის ნორმალური პირობების შექმნა.
- საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის მზადების აუცილებელი თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისი ღონის სპორტული ფორმით, ინვენტარით და სპორტული ობიექტებით უზრუნველყოფა.
- სპორტული დელეგაციების, შეჯიბრებების და სასწავლო საწვრთნელი შეკრებების მონაწილეთა მგზავრობისა და კვების ხარჯების, სასტუმროთი და ტრანსპორტით უზრუნველყოფა.
- მასობრივი ღონისძიებების გამართვა, რეგიონებში ცალკეული სპორტის სახეობებში არსებული სიტუაციის მიხედვით სტრატეგიის შემუშავება, ამ მხრივ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ფედერაციებში პასუხისმგებელი კოორდინატორების და სხვა პერსონალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.
- საქართველოში საერთაშორისო შეჯიბრებებისა და სხვა ღონისძიებების გამართვა, სპორტული დელეგაციებისა და საპატიო სტუმრების მასპინძლობა (სასტუმროს, მგზავრობის, კვებისა და სუვენირების ხარჯების ჩათვლით).
- საერთაშორისო ღონისძიებებზე საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის ორგანიზებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, შეჯიბრებებზე მაცურებელთა მხრიდან აგრესიის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა

### **3. პროგრამის რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთება**

საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულია სპორტი. წლების მანძილზე საქართველოს წარმომადგენლები წარმატებას აღწევდნენ საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს არაერთ წარგზავნილს აქვს მოპოვებული ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები, გვეყავს მსოფლიოსა და ევროპის მრავალი ჩემპიონი, პრიზიორი და რეკორდსმენი. აქტიურ სპორტში ჩაბმული იყო მოსახლეობის დიდი ნაწილი. სამწუხაროდ, 1992-2002 წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა და შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა სიტუაციამ დიდი უარყოფითი გავლენა იქონია. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მთელი რიგი სპორტსმენები და ნაკრები გუნდები მზადებას გადიან უცხოეთის ქვეყნების სპორტულ ცენტრში, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები უჯდება სახელმწიფოს. ამავე დროს აღნიშნულ პერიოდში რადიკალურად შემცირდა სპორტით დაკავებული მოსახლეობის რაოდენობა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პროგრამის რეალიზაციას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს სპორტის შემდგომ განვითარებას, გაზრდის სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენების პროპაგანდას. ამავე დროს პროგრამის მოთხოვნების შესრულება განაპირობებს სპორტსმენთა შედეგების მატებას, გააუმჯობესებს

სპორტული ობიექტების მდგომარეობას, წვრთნის და შეჯიბრებების ნორმალურ პირობებს შეუქმნის ქვეყნის წამყვან სპორტსმენებს.

#### **4. პროგრამის ობიექტი და მისი მდგომარეობა**

პროგრამის ობიექტია საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობა, მოქმედი და პერსპექტიული სპორტსმენები, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები. საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი ცნობილი მოვლენების გამო ფაქტიურად დაიკარგა ოლიმპიური მზადების ძირითადი ცენტრები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობენ. შედეგად ჩვენი ნაკრები გუნდების მომზადება მიმდინარეობს ან საზღვარგარეთ ან ძალზე რთულ პირობებში.

ჩვენი სპორტსმენების სპორტული ფორმა, მათი სპორტული ინვენტარი არ შეესაბამება მინიმალურ თანამედროვე მოთხოვნებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც მოითხოვენ რთულ ტექნიკურ ინვენტარს. კერძოდ: მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, სროლის სახეები, თანამედროვე ხუთჭიდი, კრივი, ბატუტზე ხტომა, ფარიკაობა და სხვა. მოსაწესრიგებელია ეროვნული ნაკრები გუნდების ერთიანი სპორტული ფორმებით უზრუნველყოფის საკითხებიც.

#### **5. პროგრამის მიმდინარეობა**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განსაზღვრა ის პრიორიტეტული სპორტის სახეობები და სპორტული ღონისძიებები, რომლებიც უნდა დაფინანსდეს აღნიშნული პროგრამით. ამასთან საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობებში იმართებოდა სპორტული ასპარეზოები და ტურნირები, ეროვნული თამაშობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოცემული სპორტული სახეობის პოპულარიზაციას და არსებული სპორტული ტრადიციების აღორძინებას. აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი სახსრების არსებობის შემთხვევაში მიზანშეწონილია დაფინანსდეს ის ღონისძიებებიც, რომლებიც კვლავ გააგრძელებენ ტრადიციებს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოცემული სახეობის პოპულარიზაციას და სპორტის მასობრიობას და აგრეთვე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. თანხები, ცალკე დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოდგენილი და დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად განაწილდება სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნულ ფედერაციებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან სპორტის შესაბამისი სახეობების განვითარებაზე, ნაკრები და სარეზერვო გუნდების მზადებასა და მონაწილეობაზე საერთაშორისო ღონისძიებებში, სპორტსმენებისათვის სრულფასოვანი სავარჯიშო პირობების შექმნაზე და ვარჯიშებისათვის აუცილებელი თანამედროვე მოთხოვნების სპორტული ობიექტებით, ფორმა-ინვენტარით, მაღალკალორიული კვებით, სამედიცინო და სამეცნიერო უზრუნველყოფაზე და წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2017 წელს პროგრამა ნაწილდება შემდეგ ქვეპროგრამებად:

#### **I - ქვეპროგრამა**

**პრიორიტეტულ სპორტის სახეობებში შიდა ეროვნული შეჯიბრებების ჩატარება, საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა და მათთვის საწვრთნელი შეკრებების მოწყობა**

ქვეპროგრამის მიზანია ქვემოთ ჩამოთვლილ პრიორიტეტულ სახეობებში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო

ტურნირებისათვის მომზადება და მონაწილეობა, საქართველოში საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზება და ჩატარება, ერთობლივი საერთაშორისო შეკრებების ორგანიზება, აგრეთვე შიდა ეროვნული შეჯიბრებების გამართვა, სპორტულ ღონისძიებთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა და ღონისძიების მომსახურე პირების შრომის ანაზღაურება, საჭირო მცირეფასიანი ინვენტარისა (მ/შ სროლაში ტყვიებისა და ვაზნების) და ეკიპირების შეძენა, სპორტული ობიექტების იჯარა-ქირავნობა, საწევროების გადახდა, ცალკეულ სახეობებში ქართველი მწვრთნელების შრომის ანაზღაურება, ასევე მოწვეული უცხოელი მწვრთნელების და სხვა სპეციალისტების შრომისა და ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯების (მათ შორის ბინის ქირის) ანაზღაურება. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გაიწევა ყველა იმ ხარჯის დაფარვა, რაც ზოგადად პროგრამის მიზნებითა და ამოცანებით არის განსაზღვრული.

ამ ქვეპროგრამას მიეკუთვნებიან შემდეგი სახეობები:

1. ძალოსნობა
2. კრივი
3. ჩოგბურთი
4. ფრენბურთი
5. სროლის სახეობი
6. მშვილდოსნობა
7. თანამედროვე ხუთჭიდი და ტრიატლონი.
8. ტაეკვონდო
9. ნიჩბოსნობა, კანოე

ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში, დაფინანსდება იმ სპორტსმენთა მომზადება და მონაწილეობა სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში და სპორტულ ღონისძიებებში, რომლებიც წარმატებით იასპარეზებენ საერთაშორისო სარბიელზე, წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

## II - ქვეპროგრამა

**სპორტის ზამთრის სახეობებში შიდა ეროვნული შეჯიბრებების ჩატარება, საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა და მათთვის საწვრთნელი შეკრებების მოწყობა**

ქვეპროგრამის მიზანია კორეის 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის სალიცენზიო ტურნირებში და თავად ოლიმპიადაში მონაწილეობა, ქვემოთ ჩამოთვლილ ზამთრის სახეობებში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირებისათვის მომზადება და მონაწილეობა, საწევროების გადახდა, აგრეთვე შიდა ეროვნული შეჯიბრებების გამართვა, სპორტულ ღონისძიებთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა და ღონისძიების მომსახურე პირების შრომის ანაზღაურება, საჭირო მცირეფასიანი ინვენტარისა და ეკიპირების შეძენა, სპორტული ობიექტების იჯარა-ქირავნობა. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გაიწევა ყველა იმ ხარჯის დაფარვა, რაც ზოგადად პროგრამის მიზნებითა და ამოცანებით არის განსაზღვრული.

1. ფიგურული ციგურაობა
2. სამთო-სათხილამურო სპორტი
3. სათხილამურო სპორტი
4. საციგაო სპორტი
5. ყინულის ჰოკეი
6. სპორტის ზამთრის სხვა ოლიმპიური სახეობები

ზემოთ აღნიშნულ ზამთრის სახეობებში, დაფინანსდება იმ სპორტსმენთა მომზადება და მონაწილეობა სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში და სპორტულ ღონისძიებებში, რომლებიც წარმატებით იასპარეზებენ საერთაშორისო სარბიელზე. ზამთრის სახეობების

სპეციფიკურიდან გამომდინარე და ჩვენს ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სპორტსმენთა მომზადება ძირითად გულისხმობს მათთვის შედარებით ხანგრძლივი ვადით, ინდივიდუალური ხასიათის საწვრთნელი შეკრებების მოწყობას საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დონის უცხოელი სპეციალისტების ჩართვა ქართველ სპორტსმენთა მომზადებაში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფიგურული მოციგურავეების (ელენე გედევანიშვილის და სხვ.) ინდივიდუალური პროგრამით მომზადება აშშ-ში და სხვა ქვეყნებში, მათთვის ცხოვრების, სწავლის, დაზღვევისა და სხვა ხარჯების, მათ შორის მენეჯერის და მწვრთნელების შრომის ანაზღაურების ჩათვლით, რაც ამ მომზადების პროგრამის შემადგენელი ნაწილია, წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

### III - ქვეპროგრამა

**სპორტის სხვა სახეობებში გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის მზადება და მონაწილეობა, შიდა ეროვნული შეჯიბრებებისა და საერთაშორისო ტურნირების გამართვა, ცალკეული სპორტის სახეობების პოპულარობის აღდგენა და არსებული სპორტული ტრადიციების აღორძინება.**

სპორტის სხვადასხვა სახეობებში 2017 წელს ტარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები და პირველობები, სადაც საქართველოს ცალკეულ წამყვან სპორტსმენთა და ნაკრები გუნდების მონაწილეობა აუცილებლობას წარმოადგენს. ამასთან საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობებში იმართებოდა სპორტული ასპარეზოები და ტურნირები, ეროვნული თამაშობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოცემული სპორტული სახეობის პოპულარობასა და არსებული სპორტული ტრადიციების აღორძინებას. აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი თანხების არსებობის შემთხვევაში მიზანშეწონილია დაფინანსდეს ის სპორტული ღონისძიებები, რომლებიც კვლავ გააგრძელებენ ტრადიციებს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოცემული სახეობის პოპულარიზაციას და სპორტის მასობრიობას. ქვეპროგრამის მიზანია ქვემოთ ჩამოთვლილ სახეობებში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირებისათვის მომზადება და მონაწილეობა, საწევროების გადახდა, ზოგიერთ სახეობაში მწვრთნელებისა და სხვა სპეციალისტების (როგორც ქართველი, ისე უცხოელი) შრომისა და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურება. საქართველოში საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზება და ჩატარება, აგრეთვე შიდა ეროვნული შეჯიბრებების გამართვა, სპორტულ ღონისძიებთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა და ღონისძიების მომსახურე პირების შრომის ანაზღაურება, საჭირო მცირეფასიანი ინვენტარისა და ეკიპირების შეძენა, საშეჯიბრო და სავარჯიშო მოწყობილობებით უზრუნველყოფა, სპორტული ობიექტების იჯარა-ქირავნობა. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გაიწევა ყველა იმ ხარჯის დაფარვა, რაც ზოგადად პროგრამის მიზნებითა და ამოცანებით არის განსაზღვრული.

1. ველოსპორტი
2. სამბო
3. მკლავჭიდი
4. საბრძოლო ხელოვნებები
5. სუმო
6. ცხენოსნობა
7. აფროსნობა
8. წყალ-თხილამურები
9. ბეისბოლი და სოფტბოლი
12. საუნივერსიტეტო, ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტი
13. ბილიარდი და ნარდი
14. ავტოსპორტი

15. ბადმინტონი
16. მაგიდის ჩოგბურთი
17. სპეციალური ოლიმპიური სპორტი
18. ბალახის ჰოკეი
19. მეკლდეურობა და მთამსვლელობა
20. სპორტული ცეკვები
22. ჭადრაკი და შაში
23. ჯომარდობა
24. უშუ
25. ხრიდოლი

აღნიშნული სახეობების გარდა აგრეთვე შესაძლებელია დაფინანსდეს იმ სახეობების ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებიან ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული სახეობების პოპულარიზაციისკენ და ხელს შეუწყობენ სპორტის განვითარებას. გარდა ამისა, შეიძლება დაფინანსდეს სპორტსმენთა ხანგრძლივი ვადით ინდივიდუალური მომზადების პროგრამა საზღვარგარეთ, რისი შესაბამისი ინფრასტრუქტურაც არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში, წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

#### IV - ქვეპროგრამა

**საქართველოს სპორტული დელეგაციის კომპლექსური სპორტული ღონისძიებებისათვის მომზადება და მონაწილეობა.**

2016 წელს ტარდება სხვადასხვა კომპლექსური სპორტული ღონისძიებები (ზამთრის და ზაფხულის ფესტივალები, რეგიონული შეჯიბრებები და სხვ.) სადაც საქართველოს სპორტსმენებს მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ და საკმაო წარმატებებსაც მიაღწიეს. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს ქვეპროგრამის დაფინანსება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ჩვენს სპორტსმენებს, მაქსიმალურად წარმოაჩინონ ქვეყნის სპორტული პოტენციალი საერთაშორისო სარბიელზე. ამასთან მოხდება ახალგაზრდა სპორტსმენების (უახლოესი რეზერვის) მომზადებულობის ღონის განსაზღვრა და ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის შერჩევა, წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

#### V - ქვეპროგრამა

**საქართველოს ნაკრები გუნდების სამედიცინო უზრუნველყოფა.**

- პროფილაქტიკისათვის და მკურნალობისათვის მედიკამენტების შეძენა, ფარმაკოლოგიური უზრუნველყოფა და ვიტამინიზაცია.
- სპორტსმენთა და მწრთვნელთა სტომატოლოგიური და სტაციონარული მკურნალობის, საჭიროების შემთხვევაში ოპერაციისა და ოპერაციის შემდგომი პროცესის ხარჯები.
- ნაკრებების წევრთა, ვეტარან სპორტსმენთა და მწრთვნელთა მომსახურება, პროფილაქტიკა, მკურნალობა .
- სპორტული მედიცინის ასოციაციის წარმომადგენელთა მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებზე და დარგობრივ კონგრესებსა და სემინარებზე.
- სპორტსმენების ფიზიკური მომზადების ღონის ასამაღლებლად, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ სპეციალური ტესტებისა და გამოკვლევების ჩატარება.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

## VI - ქვეპროგრამა

### ეროვნული ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება

1. მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციისა და სხვადასხვა ავტორების მიერ გამოცემული აუცილებელი დირექტიული მასალების, ბროშურების, სატრენინგო მასალების თარგმნა და გამოცემა, საგანმანათლებლო და საგამომცემლო სამუშაოების ჩატარება: ლექცია-სემინარები, ექიმების, სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის მესვეურთათვის სპეციალური ბროშურებისა და სამახსოვროების დაბეჭდვა-დარიგება.
2. ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს კოორდინირებული და ეფექტური თანამშრომლობა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან და სხვადასხვა სახეობების სპორტულ ფედერაციებთან, მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციისა და სხვა ქვეყნების ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო ფედერაციებთან.
3. ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს მონაწილეობა მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ სავალდებულო საერთაშორისო შეკრებებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ საქართველოს სახელით მოასპარეზე საერთაშორისო დონისა და მზარდი, პერსპექტიული სპორტსმენების მონაცემთა ბაზის შექმნა.
4. დოპინგ ტესტირების ჩატარება (საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო პერიოდში) როგორც საქართველოს შიდა, ასევე საერთაშორისო დონის შეჯიბრებებში, დოპინგ ტესტების ჩასატარებელი სპეციალური ჭურჭლისა და მოწყობილობის შექმნა, მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული სტანდარტების შესაბამისად დოპინგ ტესტების ასაღები სპეციალიზირებული ოთახის დაქირავება და მოწყობა, მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ ლიცენზირებულ ლაბორატორიებთან თანამშრომლობა დოპინგ სინჯების გამოკვლევის მიზნით.
5. საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისათვის დოპინგ ტესტირების ჩატარება, ექიმებისა და სპორტული დელეგაციის წევრებისათვის მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ გამოცემული ანტი-დოპინგური წესების თარგმნა და დარიგება.
6. ექიმების, სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის საგანმანათლებლო სემინარების – ტრენინგების ჩატარება თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, დოპინგ ოფიცრების მომზადება (მინიმუმ ერთი ქალი და ერთი მამაკაცი დოპინგ ოფიცერი) და დოპინგ ოფიცერი - იურისტის მომზადება, ელექტრონული და ბეჭდვითი მედიისათვის ანტი-დოპინგური მასალების მომზადება და დოპინგისაგან თავისუფალი სპორტული ღონისძიებების ჩატარების პროპაგანდა, ანტი-დოპინგურ სფეროში პროფესიონალური საქმიანობის დაზღვევა, წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.  
ქვეპროგრამა მიმართული არის "სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის ღირებულებათა დაცვისკენ. ანტიდოპინგური პროგრამის განხორციელება მოიცავს საორგანიზაციო ხარჯებისა და პროგრამის მომსახურე შესაბამისი კვალიფიკაციის დაქირავებული პირების ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებას.

### პირველი და სრული შედეგების მიღება

აღნიშნული პროგრამის პირველი შედეგები მიიღება უკვე 2017 წლის ბოლოს, რაც შეეხება პროგრამის სრულ შედეგებს, მათი განსაზღვრა დროებრივი თვალსაზრისით შეუძლებელია, რადგან სპორტი და ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზრუნვა მუდმივი და შეუქცევადი პროცესია.



## პროგრამის რეალიზაციის მარკეტინგული სტრატეგიის, რისკის და სავარაუდო უარყოფითი შედეგების შეფასება

პროგრამის რეალიზაციის მარკეტინგული სტრატეგია უშუალო კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთან, როგორცაა წარმოადგენს: მოსახლეობაში ცხოვრების ჯანმრთელი წესის დანერგვა და პოპულარიზაცია, საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ღირსების რეალურად წარმოდგენა და მისი ავტორიტეტის გაზრდა; ქართველ სპორტსმენთა სპორტული შედეგების გაუმჯობესება, ფიზიკურად ჯანმრთელი მომავალი თაობის გაზრდა და ა.შ. ეს ყველაფერი რეალურად გვიჩვენებს პროგრამის უდიდეს მნიშვნელობას და მარკეტინგულ სტრატეგიას, ხოლო რაც შეეხება რისკს, ის ამ პროგრამას არ გააჩნია. აღნიშნულ პროგრამას უარყოფითი შედეგები ასევე არ გააჩნია.

### პროგრამის შედეგების სავარაუდო მომხმარებლები

აღნიშნულ პროგრამის ძირითადი მომხმარებელია საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, რომელიც ჩაბმულია პროფესიულ და მასობრივ (სპორტულ-გამაჯანსაღებელ) სპორტში. პროგრამის შედეგების ირიბი მომხმარებელია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც თავს ადევნებს მას მასმედიის საშუალებებით, აქტიურად გამოხატავს მხარდაჭერას და სპორტის მეშვეობით იუმჯობესებს თავის ფიზიკურ და სულიერ მდგომარებას.

#### 6. პროგრამის საერთო ღირებულება

პროგრამის საერთო ღირებულებაა 9 360 000 ლარი.

#### 7. პროგრამის შესრულების ვადები

შესრულების ვადები:	დაწყება	01.01.2017 წ.
	დასრულება	31.12.2017 წ.

#### 8. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

#### 9 პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

##### შედეგები:

- პროგრამის დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუწობს ხელს საქართველოში სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, გაიზრდება სპორტული ჯგუფები და სექციებში ჩაბმულ მოზარდთა რაოდენობა, რომლებიც ჩამოშორდებიან ქუჩის მანკიერ გავლენას, ნარკომანიას და სხვა მავნე ჩვევებს. პროგრამის შესრულება გაზრდის საქართველოდან მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა და პრიზიორების რაოდენობას (რაც მნიშვნელოვნად აწევს ქვეყნის საერთო რეიტინგს მსოფლიო მასშტაბით). გაუმჯობესდება ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით, გაუმჯობესდება საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარების პირობები, მოიმატებს მაცურებელთა ინტერესი და ა.შ.

აღნიშნული პროგრამის დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუწობს ხელს სპორტული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც შესაბამისად დადებითად წაადგება სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას.

სპორტი როგორც სოციალური სფეროს ყველა სხვა დარგი, არ იძლევა მნიშვნელოვან ფინანსურ ეფექტს, თუმცა ის ირიბი ეფექტია, რაც მოსდევს სპორტს, არც ერთ სხვა სფეროს არ გააჩნია. კერძოდ, სპორტი წარმოადგენს:

- მოსახლეობის გაჯანსაღების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ მიმართულებას, რაც ზოგავს მინიმალურად თანხებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;
- ნარკომანიასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ძალზე ეფექტურ ფორმას, რაც ასევე ზოგავს საკმაოდ მნიშვნელოვან სახსრებს;
- კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე რეალურ გზას, რაც ასევე ზოგავს მნიშვნელოვან სახსრებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია სპორტის მეშვეობით მიღწეული მთლიანი ფინანსური ეფექტის ციფრებით გამოხატვა შეუძლებელია, მაგრამ მისი როლი ქვეყანაში შექმნილი ეკონომიური და სოციალური კრიზისის დაძლევაში ძალზე მნიშვნელოვანია. ამასთან, რაც უფრო განვითარდება სპორტი, მით უფრო გაიზრდება მისი პირდაპირი ფინანსური ეფექტიც. რაც უფრო მეტი ძლიერი სპორტსმენი და კლუბი გვეყოლება, მით უფრო გაიზრდება მათ მიერ მოზიდული სახსრები რეკლამებიდან, ტრანსფერებიდან, სპონსორობიდან, სუფთა სპორტული ასპარეზობების ჩატარებიდან და სხვა წყაროებიდან. სპორტში ჩადებული ყველა ლარი რამდენიმე წლის შემდეგ ბევრად უფრო მეტი თანხის მომტანია ჩვენი ქვეყნისთვის.

- მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები;
- ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

#### **ინდიკატორები:**

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;